

ମୁଦ୍ରଣ

କବି ଜୀବନ

ଶାହିନବେଳେ ପବି



ତୁମ୍ଭର ପାଦରେ

7-202

# — სახალხო გამოცემა — გამოსაღებ ცნობათა

ივ. პაგლ. როსტომაშვილისა, № 7.

## ფილოსოფოსი სოცრეალი და მისი ფილოსოფია ადამიანის ცხოვრებაზე



ფარ 10 კავშირი.

1. ვინ იყო ხოკინი? სოკრატი იყო ბერძენი. და-  
იბადა ქალაქ ათინაში საბერძნეთში, 469 წელს და გარ-  
დაიცვალა 399 წელს კრისტეს შობამდე, 70 წლის  
მოხუცად. მაგა მისი იყო ქვის მთლელი, დედა—მეანი  
(ბებია).

მაგა ასწავლიდა შვილს თავის ხელობას და თან  
სკოლაშიაც ატარებდა სასწავლებლად. ათინაში ჰველა  
ნასწავლი იყო და ბევრნაირი სკოლაც არსებობდა იქ:  
იყო ისეთი სკოლები, რომ მარტო წერა-კითხვას ასწავ-  
ლიდნენ, მაგრამ ისეთი სკოლებიც იყო, სადაც უველა  
მეცნიერებას ასწავლიდნენ. სოკრატი პატარაობიდანვე  
დიდს ნიკს იჩენდა და ამიტომ, როცა ამან წერა-კით-

35713

ხვის სკოლა გაათავა, მამამ იგი ახლა უმაღლეს სასწავლებელში მიაბარა.

სოკრატმა გაათავა ეს სკოლაც და წინანდებულათ შველოდა მამას ქვები, თლაში. სოკრატი ბეჯითად მუშაობდა, მაგრამ იმავ დროს ხშირად დაფიქრდებოდა ხოლმე შემდეგზედ: სკოლაში მე ყველაფერი მასწავლებს, ყველა მეცნიერება გამაზეპრეზინტს, მაგრამ უმთავრასი კი არ მასწავლებს — არ მასწავლებს, როგორ უნდა ცხოვრობდეს ადამიანი? ყოველი ჩვენგანი ეძებს თავისუფრის სიკეთეს, მაგრამ რომ კარგათ გავსინჯოთ, სიკეთეს კი არა და ავს ვუმზადებთ ჩვენს თავსა, რადგანაც არ ვიცით, რაშია ნამდვილი სიკეთე ადამიანისა. აი მე ბევრი ვისწავლე, მაგრამ აბა მკითხე — როგორ უნდა ცხოვრობდეს ადამიანი, და მე სიტყვასაც ვერ გეტყვით ამაზედ, რადგანაც არ ვიცი. ეს კი უმთავრესია და ყველაზე წინ ეს უნდა იცოდეს ყოველმა ადამიანმა! სწავლამ მარტო ის სარგებლობა მომიტანა მე, რომ თვალ-ნათლივ დაბანახვა, რომ მე არაფერი ვიცი; წინათ, სანამ უსწავლელი ვიყავ, მე მეგონა, რომ რამე ვიცი, ახლა კი დარწმუნებით შევიტყე, რომ მე არაფერი არ ვიცი! სოკრატმა, ეჭვი არ არის, ბევრი რამ იცოდა, მაგრამ ის მაინც თუ ამბობდა — არაფერი ვიციო, ეს იმას ნიშნავდა, რომ ადამიანი არასოდეს რა უნდა დაკმაყოფილდეს დღევანდელი ცოდნით და მუდამ სულ ახალ-ახალი ცოდნის შექმნას და შეძენას უნდა ცდილობდეს, ასე რომ სოკრატის სიტყვები — „მე არაფერი არ ვიცი“, უდრის ქრისტეს სიტყვებს: „ნეტარ არიან სულით გლოხავნი“, „ნეტარ არიან მშიერნი და მწყურვალნი“! აქაც ქრისტე ჰგულისხმობს იმათ, რომელნიც არ კმაყოფილდებიან დღევანდელი ცოდნით და მარად მეტს ცოდნას და სულის მეტს სიდიადეს და სისრულეს ეძებენ...

ამასწინაა ნ. შილდაშვილმა ი. ნაკაშიძის საპასუხოდ (ნ. „ს. გაზ.“ № 1138) ის აზრი გამოსთქვა, რომ „ჩვენ

დროში ეკონომიურად დაცემული ერისთვის ძნელია ფილოსოფოსობათ“, ე. ი., სხვანაირად რომ ესთქათ, ეს იმას ნიშნავს, რომ რა დროს ფილოსოფოსობაა, როცა ჩვენ სრულიად მიწასთან ვართ გასწორებულიო!.. ჩვენ შემცდარად მიგვაჩნია ასეთი შეხედულობა და მოკლეთ ვიტყვით ჩვენს აზრსაც: „აბა, სწორეთ ასეთს უკიდურეს გარემოებაში სჭირია ერს ფრთლოსო. ფია და შეუწყვეტლივ ფილოსოფოსთა სწავლათა გავრცელება ხალხში, რადგანაც მხოლოდ ფილოსოფიას და სხვა არაფერს შეუძლიან დააყენოს ჩვენი ერი ნამდვილ ალდგენის გზაზედ“! მეტს არას ვამბობთ, რადგანაც დანარჩენი თვით ამ წიგნის შინაარსიდამ სხანს ყველაფერი...

ასე და ამ გვარად მოსვენებას არ აძლევდა სოკრატი თავის თავს და მუღამ ამას ეკითხებოდა: „რას დავემყარო, რომ თავის დღეში არ შევცდე და კეთილის მაგივრათ ავი არ მოვიქმედოვო? — ბევრნაირათ გასინჯა სოკრატმა ეს კითხვა და ბოლოს მრაღწია კიდეც ნამდვილ პასუხამდის. მან შეიტყო, რომ ყოველ ადამიანს დაბადებითვე თან დაჰყვება სვინიდისი. დაემყარეთ ამას, დაუჯერეთ ყოველი რჩევა ამ ღვთიურს მრჩეველ; თუ სვინიდისი გეუბნება გააკეთეო, შენც გააკეთე, რადგანაც, იცოდე, რომ კარგია; ხოლო, თუ გეუბნება — ნუ გააკეთებო, შენც ნუ გააკეთებ, რადგა. ნაც იცოდე, რომ ეგ საქმე უთუოდ კუდიო. სოკრატმა ბევრნაირათ გამოსცადა თავისი სვინიდისის ასეთი წმიდათა-წმიდაობა, შეუცდობლობა და დარწმუნდა, რომ ეს მართალია, რომ სვინიდისი ერთად-ერთი და საუკეთესო გზის მაჩვენებელია ჩვენის ყოფა-ქცევისა და კეთილის ცხოვრებისა, დარწმუნდა, რომ სვინიდისი ნამდვილი ღვთიური ხმაა ადამიანში, ღვთიური მრჩეველია ადამიანისა.

მივიდა რა ამ დასკვნამდის, სოკრატმა სთქვა: „რა-კი შევრტყე, რაშია ჭეშმარიტება და კეთილი, საჭიროა სხვებსაც ვასწავლო, რომ სხვებსაც კარგად ეცხოვრე-

ბოდგსო". სწორეთ ეს დრო იყო, რომ სოკრატის მა-  
მა მოუკვდა და დარჩა სახლის უფროსად. მას უკვე  
ცოლი და შვილები ჰყვანდა. ეს თავისი განზრახვა სო-  
კრატმა პირველად ცოლს გაუზიარა. ცოლს არ ესი-  
მოვნა და უთხრა: „დაანებე, სოკრატ, თავი მეგ შენს  
განზრახვას, თორემ ქვის თლა უკან დაგრჩება და ჩვენ  
გაჭირვებაში ჩავავივით, მასწავლებლები უშენოთაც  
ბევრი ჰყავს ჩვენს ხალხსაო".

მაგრამ სოკრატმა არ დაუჯერა ცოლს: ის ხედავ-  
და, რომ ხალხი მის ოვალწინ იტანჯება, რადგანაც არ  
იცის როგორ უნდა ცხოვრება. უთუოდ საჭიროა სწავ-  
ლება, თორემ რა კაცობაა, გულში დავიმარხო ეს ლვთის  
ხმა ჭეშმარიტებაზე და კეთილზეო.

უნდა გითხრათ, რომ უწინ, სოკრატამდე, ბერ-  
ძნები ძლიერ კარგათ და ბედნიერათ ცხოვრობდნენ.  
მიწა კარგი და მომცემი ჰქონდათ, ჰაერი თბილი. ყვე-  
ლა მათგანი სიამოვნებით ამუშავებდა მიწას—ჰქნავდა,  
სთესდა, აშენებდა ბალებსა, ფუტკარსა, ფრინველსა,  
საქონელსა, არ იყო მათში მდიდარი და ღარიბი, ბატო-  
ნი და ყმა, ყველანი თანასწორათ და გაუჭირვებლად  
სცხოვრობდნენ. გაგრამ შემდეგში კი ბერძნებმაც დაი-  
წყეს ომები, დაუწყეს მეზობელ ხალხებს შეწუხება, ხო-  
ცვა, ცარცვა, ტყვევნა, დამორჩილება. გამდიდრდნენ  
ბერძნები უსაშაროთლო სიმდიდრით და მათი ცხოვრებაც  
სულ მთლად გაფუჭდა: ვინც თავხედი იყო ჯარში, იწევ-  
და, ვინც მცოდნე—მთავრობის სამსახურში შედიოდა  
მოხელედ, ვინც მოხერხებული იყო ვაჭრობაში მიღი-  
ოდა, მუშაობას აღარავინ კადრულობდა; მიწის შემუ-  
შვება, ბალოსნობა, მეფუტკრობა, საქონლის მოშენება  
ბერძნებმა მთლად თა ის ტყვებს. დააკისრეს.

თუ საღამდის მიღიოდა ბერძნების ჯაშართლობა,  
სჩანს იქიდამ, რომ სოკრატის დროს ათინის ქვეყანაში  
ითვლებოდა ასი : თასი ბერძნი და ოთხასი ათასი კი  
მონა იყო, ამათ აკეთებინებდნენ ბერძნები ყველა სამუ-

შაოს და თითონ კი მარტო იმას ცდილობდნენ, რომ  
ვაჭრობით და ომით თუ მოხელეობით რაც შეიძლება  
ბევრი ფული ეშოვათ, მონები და მხევლები (მოხელენი)  
გაემრავლათ და ეცხოვრათ თვისდა სასიამოვნოდ.

სცხოვრობდნენ ასე ბერძნები და სულ გაფუჭდნენ:  
აღარავინ ფიქრობდა სიმართლით ცხოვრებაზე, ძმისა და  
მეზობლის დახმარებაზე, მონების შეწყნარებაზე და გან-  
თავისუფლებაზე, ყველა მარტო იმას ფიქრობდა, რომ  
როგორმე სხვა დაემორჩილებინა, სხვისით ნარი ეგ-  
ლიჯა!..

ნახა სოკრატმა, რომ ხალხი სულ გადარეულა,  
თითონვე ჰლუპავს თავის თავს და აი, დაიწყო სოკრა-  
ტმა დროგამოშვებით მეიდანზე გამოსვლა და აქ ხმა-მაღ-  
ლა ლაპარაკი, რომ ასე ცხოვრება არ ვარგა, რომ ადა-  
მიანი გონიერი ქმნილებაა და ცხოვრებაც უთუოდ გო-  
ნიერი უნდა ჰქონდეს. ბევრს არ მოსწონდა სოკრატის პი-  
რუთვნელი ლაპარაკი, რომელიც ჩვენ აქ ქვემოთ მოგვყავს,  
ამიტომ როცა ის უკვე 70 წლისა იყო, დაიკირდეს და  
სამართალში მისცეს. სასამართლომ მას სიკედილით დას-  
ჯა მიუსაჯა, დაალევინეს საწამლავი და მოკლეს. ეს  
მოხდა 399 წ. ქრისტეს შობამდე.

2. ხაუბარი იმაზედ, თუ როგორ უნდა ცხოვ-  
რება. ერთხელ სოკრატს შეხვდა მეიდანზე არისტონი,  
კაცი მდიდარი, ნასწავლი და კეთილი.

— გამარჯობა, არისტონ! სადა ხარ, არა ჩანხარ,  
აღბათ სამუშაო ბევრი გაქვს და ხეტიალისთვის არა  
გცალიან?

— არა, მე არაფერი სამუშაო არა მაქვს, ან რათ  
უნდა ვიმუშავო, მე უიმისოთაც დიდი შეძლება მაქვს  
და ამიტომ მხიარულად ვატარებ დროს, სხვა რაღა მინდა?

— ეგ მართალია, არისტონ, რომ მუშაობა შენთვის  
საჭირო არ არის, — უთხრა სოკრატმა, — მაგრამ ის კი  
კარგია, რომ მთელი შენი სიცოცხლე მაგრე უსაქმობა-  
ში გაატარო?

— რატომ არა არის კარგი, იმაზედ უკეთესი რა არის, რომ მუდამ სიამოვნებაში იყო!

— არა მგონია, — უთხრა სოკრატმა. — აქამ და სიამოვნებაში ვატარებ დროსაც, განა უკეთესი ცხოვრებაც ეგ არის? ჰერიულესზე მაინც არ გაგიგია?

— როგორ არ გამიგია, ის გმირი იყო, ბევრი დიდებული საქმე გააკეთა და დიდი სახელიც გაითქვა, — უპასუხა არისტონმა.

— ის კი არ გაგიგია, როგორ აირჩია ჰერიულეს ცხოვრების გზა, — ჰერიონსა სოკრატმა.

— არა, ეგ არ გამიგია, — უპასუხა არისტონმა.

— მაში ური დამიგდე, გიამბობ, — უთხრა სოკრატმა. — გიამბო?

— გვიამბე, გვიამბე, — დაიძახეს აქეთ-იქიდამ.

— მიამბე, — უთხრა არისტონმაც. სოკრატმა დაიწყო.

აი საქმე როგორ იყო. როცა ჰერიულესი წაშოიზარდა, დაფიქრდა იმაზედ, რა გზას დაადგეს, რა ცხოვრება აირჩიოს? წავიდა სასეირნოთ და სულ კი ამაზედ ფიქრობდა: რა გავაკეთო, როგორ ვიცხოვრო? ამ ფიქრში /ჰერიულესი გავიდა მინდვრად. ჰერიულესი მოდის ორი ქალი: ერთი არც დიდი იყო, არც პატარა, არც მსუქანი, არც გამხდარი, არც მორთული, არც ჭუჭყიანი, მოდის ერთნაირად, ნელა, აუქეარებლად, თაგან არავის აწონებდა; მეორე კი იყო — ძალალი, მსუქანი, მორთული, ფერ-წასმული და თავ-მომწონეთ მოდიოდა. ეს მეორე ქალი მიესალმა ჰერიულესს და უთხრა: „მე კარგათ ვიცი / რაზედაც ფიქრობ, ჰერიულეს! ? შენ იმაზედ ფიქრობ, თუ რა ცხოვრება აირჩიო და რა გზას დაადგე! მე მოველ, რომ გასწავლო საუკეთესო გზა; თუ მე მომყვები — ადგილად და ძხიარულად იცხოვრებ, არ გეცოდინება შრომა და მისი ჭაპანწყვეტა! პორიქით, სიამოვნება, ტკბილ-ტკბილი საჭმელები და გემრიელი სასმელები, რბილი ქვეშაგები და განკხრობა, აი რა იქნება შენი ყოველ-დღიური ხვედრი. შენი საქმე მარტო ის იქ-

ნება, რომ უბრძანო და ყველაფერი მოგერთევა. მოე-წონა ჰერყულეს და ქალს სახელი ჰკითხა.

— ჩემი სახელი არის ~~აწმუნ~~ და ბეღნიერება,— მი-უგო მსუქანმა. ~~X~~

პირველი ქალი ჩუმად იდგა და ყურს უგდებდა. ახლა ამან დაიწყო:

— ჯერ ჩემს სახელს გეტყვი: მე სიმართლე მქვი-ან; არ მოგატყუებ და პირდაპირ გეტყვი რაშიაც არის საქმე, რაშია ბეღნიერება ადამიანისა. შენ თითონაც იცი, რომ მიწამ რამე მოგიყვანოს, ბევრი უნდა იმუა შაო; თუ გინდა რომ საქონელი გვყანდეს, უნდა მოუ-არო; რომ სახლი კარგი გქონდეს—ქვები, უნდა დათალო ანუ აგური მოსჭრა; რომ ადამიანებმა პატივი გცენ, უნდა იშრომო მათთვის; რომ ლმერის უყვარე—უნდა მისი ნება შეასრულო; მისი ნება კი ის არი, რომ ადა-მიანებს მათის შრომისათვის შრომითვე გადაუხადო! აშ გზით გატარებ, ჰერყულეს, მე შენ, მარტო ეს გზაა ლირსი ლირსეფული ადამიანისა!..

— არა, ჰერყულეს!—ჩაერია ლაპარაკში მსუქანი; ეგ მარტო შრომას, შრომას და შრომას გპირდება შენ, სიამოვნება კი იქნება თუ არა, ამაზეც არაფერს ამბობს. არა, ჩემთან გირჩევნია წამოსვლა, ჩემთან არც შრომა გექნება, არც მწუხარება, პირიქით, სიამოვნება-სიტკბოւ ებით აგავსებ მე შენ, წამო ჩემთან!..

— მოიცა, — შეაყენა ის სიართლის ქალმა. — შენ ეუბნები: ტკბილათ სჭამ და დალევო და გგონია, რომ ეს სიკეთეა; მაგრამ შენ ხომ არც ჭამა-სმა რცი: სჭამ უდროვოდ — როცა არა გშიან და სვამ — როცა არა გწყურიან, რისგამოც თვით იშვიათი საჭმელები და უძვირფასესი სასმელები იოტის ოდენა სიტკბოება-სიამოვ-ნებასაც ვერ გაძლევენ; შენ პპირდები ჩაგას ტკბილს ძილსა, მაგრამ შენ არც ძილი იცი, რადგანაც იძინებ მხოლოდ მოწყენილობისაგან... ტკბილათ მოსვენება მარ-ტო იმას შეუძლიან, ვინც იმუშავა, შენ კი რისაგან

უნდა მოისვენო? კარგათ გიცნობ მე შენ, რამდენი და-  
ლუპე შენის მაცდურობით და უსაქმური ცხოვრებით;  
აბა გაიხედე რამდენი გიჩივას, რომ უნაყოფოთ გა-  
ფრლანგეს თავისი ქონება და ახალგაზღობა! ამიტომაც  
გდევნიან შენ ყველა პატიოსნები და ჯემახიან ცხოვრე-  
ბის გამხრწნელად. მე კი ორავისთვის მომიტყუებია:  
ვინც პატარაობიდამვე მომდგრეს მე, ყველა განმტკიცდა  
სულით და ხორცით, ყველავ იპოვნა მეტი სიხარული,  
ყველაც პატივსა სცემს მათ, ყველა სიამოვნებით იგო-  
ნებს შრომით და წვალებით სავსე განვლილ დღეებს და  
წყნარად მოელიან სიკვდილსა. შენზე ჩივიან, ჩემზედ  
კი ძვირი ორავის უთქვამს და ყველა მართალს მედახის!  
აი, რა ცხოვრებისთვის მოგიწოდებ, ჰერყულეს, მე შენ!..

ჰერყულესმა ბევრი ორან იფიქრა, აიღო და გაჰყვა  
მართალსა: იშრომა ხალხისათვის, ასიამოვნა ხალხსა და  
ამით თითონაც კეთილი მოიპოვა და სახელოვანიც  
გახდა ხალხის ხსოვნაში.

მიუბრუნდა სოკრატი არისტონს და უთხრა: „ახლა  
თითონ გასაჯე, არისტონ, ამ ორში რომელს მიჰყვე:  
შრომას თუ ცუდაობას, საქმეს თუ უსაქმურობას, გახრწ-  
ნას თუ სიწმინდეს! ეჩქარე ისე არ მოკვდე, რომ არც-  
არა ხალხს არგო და ორა-არა არავის თავს!..

3. საუბარი არისტარხთან. სოკრატის მეზობლად  
სცხოვრობთა ვინ, ე არისტარხი. ბოვიდა ის ერთხელ  
სოკრატთან და შესჩივლა: „არ ვიცი რა ვქნა? წინათ  
შეძლებული ვაჭარი ვიყავ, კარგი ვაჭრობა მქონდა, მაგ-  
რამ საქმე როგორლაც ცუდათ წამივიდა, გავლარიბდი.  
ამას ზედ დაერთო ომი. ჩათესავები დამიხოცეს და იმათი  
შვილებიც ჩემი შესანახები გახდნენ. ჩემს სახლში ახლა  
თოთხდეტი სულია და არ ვიცი როგორ გამოვკვებო?

— მებრალები, მეგობარო, — უთხრა სოკრატმა, —  
მაგრამ მაინც რით ფიქრობ უშველო თავს?

მინდოდა ფული მეშვეობა სე ხით და ისევ ვაჭრობი-  
სთვის მიმეურ ხელი. მაგრამ იციან, რომ ჩემი საქმეები  
ცუდათ არის და ფულს არავინ მაძლევს.

სოკრატმა თავი გაიქნია და უთხრა: „თოთხმეტი სული, მართალია, ცოტა არ არის, ჰაგრამ ეს როგორ არის, რომ შენს მეზობელს სახლში ოცი სული ჰყავს და უველავი არა თუ მაძლრად არიან, ფულებსაც შოულობენ?

— შენც კი დამადარე, — სთქვა არისტარხმა! ის მეზობელი მარტო თითონ არის და ცხრამეტი სული რომ ჰყავს, ეგენი მონები არიან; მონები კი უფრო მეტს მუშაობენ, ვიდრე მათს შენახვას უნდება. მე კი ის თოთხმეტი სული სულ თავისუფალი ბერძნები მყავს.

— მერე რით გაირჩევიან თავისუფალი ბერძნები მონებისან? — ჰკითხა სოკრატმა. — ეჭვი არ არის იმით, რომ თავისუფალი ბერძნები უფრო კარგები და ყოჩალები არიან, ვიდრე მონები!..

— რასაკვირველია, — მიუგო არისტარხმა.

— სიტყვით გამოდის, რომ თავისუფალი ბერძნები სჯობიან მონებსა, საქმით კი სულ სხვას ვხედავთ, — სთქვა სოკრატმა: — მეზობლისას უველაფერი კარგათ არისო, რადგანაც იქ მონები არიან, ჩემთან კი ცუდათ არისო, — რადგანაც თავისუფალი ბერძნები არიანო! ცხადია, რომ მონებს სკოლნიათ მუშაობა, თავისუფალ ბერძნებს კი არა!..

— ჩვენც მოვახერხებდით მუშაობას, რომ ძალა დავატანოთ, — სთქვა არისტარხმა, — ჰაგრამ ძალა ვერ დამიტანებია: ესენი აზნაურები, არიანო, როგორ შეძლება ამუშავოვო, ეწყინებათო, უსიამოვნება ჩამოვარდებაო... .

— შე დალოკვილო, ახლა კი არა გაქვს უსიამოვნება? თანხმობა სუფეეს თქვენში? — ჰკითხა სოკრატმა.

— რის თანხმობა, რის ერთობა, მარტო ჩხუბი და უსიამოვნება გესმის ყოველ დღე, — უთხრა არისტარხმა.

— მაშ, აი რას გეტყვი, — უთხრა სოკრატმა: — უმუშაობითაც უსიამოვნებაა შენს ოჯახში და არც საკმელი გაქვთ. კარგათ ხედავ, რომ მარტო აზნაურობა

შენს ოჯახს ვერც. პურს აქმევს და ვერც თანხმობას აძლევს. ახლა მოდი ასე გააკეთე: მიეცი ყველას საქმე და ნახე, უკეთ იქნებიან თუ ცუდად?

დაუჯერა არისტარხმა სოკრატს, წავიდა ერთს ვა-ჭართან და სოხოვა ენისიავებინა მისთვის მატყლი. ვა-ჭარმა მისცა მატყლი, წაიღო სახლში, შინაურებმა მა-ტყლი დაართეს, მოქსოვეს ჟალები და არა თუ მარტო თითონ შეიკერდეს ტანისამოსი, გაყიდეს კიდეც. ამის შემდეგ არისტარხის ოჯახი დიდიდამ პატარამდის ყველა ამ საქმეს მისდევდა, ყველანი მაძლრად იყვნენ და ფუ-ლიც ჰქონდათ, მაგრავ ყველაზე სასიამოვნო ის იყო, რომ ჩხები ამათში გაგონებითაც აღარავის გაუგონია და აღარც ძრახვა ვისგანმე...

4. ჭაბუკი და სოკრატი. მოდის ერთხელ სოკრა-ტი და დაინახა, რომ ახალგაზრდა სოფლელი ბერძენი გაშოტილა ზედ მეიდანზე ხას ქვეშ და ძალზე თავს იგრილებს, უორი-ახლო კი ზის მისი მონა.

— რა ამბავია რომ მაგრე დალლილხარ? — ჰერონი ჭაბუკს სოკრატში.

— როგორ არ დავიღალო, უკანასკნელი ათი ვერ-სი მაინც გამოვიარე ფეხით, — უპასუხა ჭაბუკმა.

— რისგან დაიღალეთ, დიდი ბარგი ხომ არ გეკი-დათ? — ჰერონი კვლავ სოკრატში.

ჭაბუკს ეწყინა და უპასუხა: ბარგს რათ ავიკიდებ-დი, აი მონა მყავს და ბარგიც მაგას მოჰქონდა.

— ეგ არ დაიღალა? — ჰერონი სოკრატში.

— ეგ ლონიერია, მთელს გზას გაჰქინებულ ცხენ-სავით მოდიოდა და თუმცა ბარგი ეკიდა, თან სიმღე-რებსაც ამბობდა, — უპასუხა ჭაბუკმა.

— მებრალები, ჭაბუკო, რომ მონას ჟენი და სხვა ყველას სამსახური შეეძლიან, შენ კი არც სხვისი და არც თავის თავის სამსახური შეეძლებია, — უთხრა სოკ-რატმა და მოშორდა ჭაბუკს.

5. როგორ უნდა ოჯახში ცხოვრება? სწავლიში

სოკრატი ფულს არავის ართმევდა, ის კვლავაც ქვების თლით ცხოვრობდა და ამ შრომით ნაშოვნი ფულებით კმაყოფილოებოდა. მაგრამ ცოლი ვერ ითმენდა სიღა. რიბეს და ხშირად აყვედრიდა სოკრატის—რომ ცოტას ზრუნავ თჯახისათვისაო, შენს საკუთარს საქმეს გულს არ უდებ და სხვების სწავლაზედ ჰქარგავ დროსაო. ხშირად საქმე იქამდის მიღიოდა, რომ ცოლი საშინლად გაჯავრდებოდა ხოლმე და ქმარსა და შვილებსაც აღარ ინდობდა, ჰრანძლავდა და ათრევდა ცუდი სიტყვებით.

სოკრატი ყველაფერს უთმენდა ცოლს და იმასგვე ასწავლიდა შვილებს, მაგრამ შვილები მაინც ემდუროდნენ დედას. ამიტომ სოკრატი აკე უხსნიდა შვილებს დედის სუყვარულს და პატივისცემას:

— კარგები არიან ისინი, რომლებმაც არ იციან სიკეთის დახსომება?— ჰკითხავდა სოკრატი შვილებს.

— არა, ვინც სიკეთის დახსომება არ იცის, საძაგლები არიან,— მიუგებდნენ შვილები.

— მაშ რაღას უჩივით დედა-თქვენს,— ეტყოდა სოკრატი შვილებს:— ის ცხრა თვეს მუცლით გატარებდათ, შემდევ გშობათ, დღე და ღამ თქვენთვის ზრუნავდა, გივლიდათ, გპატრონობდათ, გზრდიდათ, კეთილს გასწავლიდათ, თქვენი კარგის ქცევით და საქმით ხარობდა, ცუდებით— იტანჯებოდა, ჯავრობდა... განა იმის ღირსია დედა-თქვენი, რომ ახლა, როცა დაზარდენით, არ გინდათ მას ისეთივე მოთხინებით და სიყვარულით მოეპყრათ, როგორც ის თქვენს პატაჩაობაში თქვენ გეპყრობოდათ? არა, შვილებო, ყოველი დედა ღირსია იმისა, რომ ყოველმა მისმა შვილმა ერბო კვერცხიც კი მოსწვას მის გულისათვის თავის ხელის გულზედაო!..

6. საუბარი ძმების ცხოვრებაზედ. შეიტყო სოკრატმა, რომ ვინმე მდიდარი ვაჭარი გაეყარა ღვიძლ ძმასა. სოკრატი შეჰვედა მას და უთხრა:

— მიკვირს შენგან: ჭკვიანი კაცი ხარ, გიყვარს

მუდამ შეძენა, იჭრ ნოქრებსა, იწვევ სხვებსაც საქმეში  
და საკუთარ ძმას კი გაეყარე! განა. ცუდია ძმასთან  
თანხობით ცხოვრება?

— ვინ ამბობს, რომ ცუდია, მაგრამ როგორ ძმა-  
სთან, ძმაც არის და ძმაც? აი ჩემი ძმა სხვებთან კარ-  
გია, ჩემთვის კი ყოვლად გამოუსადეგარი და უსიამონოა!

— იქნება შენ თითონ ცუდათ ექცევი ძმას,— ჰკი-  
თხა სოკრატმა ვაჭარს.

— სრულიადაც არა: მე მუდამ კარგად ვექცევი  
ყველას, ვინც მე მექცევა კარგათ, კეთილი ვარ მის-  
თვის, ვინც კეთილია ჩემთვის; არ შემიძლიან კეთილათ  
მოვექცე იმას, ვინც ცდილობს მუდამ უსიამოვნება მო-  
ბაყენოს.

— ერთი ეს მითხარ,— უოხრა კვლავ სოკრატმა,—  
როგორ მოვექცეოდი იმ კაცს, რომელთანაც დაახლოვე-  
ბა და დამეგობრებას მოინდომებდი?

— როგორ მოვექცეოდი? მე ისე მოვიქცეოდი ამ  
შემთხვევაში, როგორც ყველანი იქცევიან: ვასიამოვ-  
ნებდი ყველაფრით, დავპატიჟებდი, მივართმევდი რაც  
უკეთესი რამ მექნებოდა, ვუშველიდი ყველა საქმეში,  
დავეხმარებოდი ფულით, როცა კი ეს საჭირო იქნებო-  
და მისთვის და სხვა.

— გააკეთე ეგევე შენი ძმისათვის და ნახავ, რომ  
ძმაც გამოგეცვლება, მისთვის ერთი დღეც უშენოდ  
ტანჯვა იქნება....

— არა, თავს ვერ დავიმდაბლებ, სხვა არა იყოს  
რა სიჩუქვილია, ხალხი რას იტყვის, ძმას დაემორჩი-  
ლათ, — სოჭვა ვაჭარმა.

— კარგი ქცევა, კეთილი საქმე თავის დღეში სი-  
რცხვილი არ არის. ორი ძმა იგივეა, რაც ორი თვალი  
ადამიანისათვის, ორი ხელი და ორი ფეხი. აბა რა იქნე-  
ბოდა, რომ ერთი ხელი უშლიდეს მეორეს? ხელების და-  
წაშნულება ის არის, რომ ერთმანეთს უშველონ; ასე-  
ძმებისა: ხელს ხელისა და ფეხს ფეხის შველა შე-

უძლიანთ სულ ერთის არშინის მანძილზედ, ძმას ძმის შველა და დახმარება კი თუნდა ქვეყნის მეორე პირი-დამაც შეუძლიან!.. ღმერთმა გვიბრძანა ძმურად ცხოვ-რება უკელასთან და ამიტომ ვინც ღვიძლ ძმასთან ვერ სხოვრობს ძალად, იგი არღვევს ღვთიურს მცნებასა.. .

**7. როგორ უნდა ცხოვრობდნენ ადამიანები ერთმანეთში?** სოკრატის საუბრის უურის საგლებლად მოდიოდნენ მრავალნი შორეულ ქვეყნებიდამაც. ერთხელ დილალმა ხალხმა მოიყარა თავი სოკრატთან. როგორც ზემოთ ნაამბობიდამაც დაინახავდით, სოკრატს არ უყვარდა მარტო თითონ ლაპარაკი, ის უფრო სხვებს ალაპარაკებდა. ის ხშირად იტყოდა ხოლმე: „დედა ჩემი ბებია იყო, შველოდა მშობიარებს შვილების გაჩენაში; ასევე მე: თითონ არაფერს ვასწავლი ხალხს, მე მარტო ვშველი სხვას, თუ გორორ უნდა თითონ ისწავლონ“. ასე მოიქცა ამ შემთხვევაშიაც. აი გამოვიდა სოკრატი, დაჯდა სკამზედ, ხალხი კი მის წინ დალაგდა, ვისაც როგორ ეხერხებოდა—ზოგი ქვაზედ ჩამოჯდა, ზოგი მიწაზედ დაჯდა და სხვა. დაიდო სოკრატმა ხელები მუხლებზედ, დაღუნა თავი და დაფიქრდა. უკელა ელოდა, რასა გვკითხავსო? ასწია სოკრატმა თავი და სთქვა:

ერთი ეს მითხარით: რათ არის, რომ ადამიანები ერთათ ცხოვრობენ და არა ცალ-ცალკე? ეხლა აი ადამიანებში უყველგან უთანხმოება და მტრობაა და ცალკე რომ ეცხოვრათ, იქნებოდა უკელა თავისითვის და არც არავისთან ექნებოდათ ჩეუბი, მგონი ასე ემჯობინებოდა!..

უკელა ალაპარაკდა. ერთმა სთქვა: ადამიანები იმიტომ ცხოვრობენ ერთათ, რომ ასე უფრო საჩუა, მარტო კაცისთვის მუშაობაც საშიძლო იქნებოდა, ერთათ უფრო მეტს გააკეთებენო! მეორემ სთქვა: მარტო ცხოვრება საშიშიც იქნებოდა, ძნელი იქნებოდა თავის დაცვა! მესამემ სთქვა: მოსაწყენი იქნებოდა მარტო

ცხოვრება, ერთად უფრო საამურია. ნათქვამია: მარტო-კაცი პურის ჭამაშიაც ბრალიაო! მეოთხემ სთქვა: თვით ღვთისაგან არის დაწესებული, რომ ადამიანები ერთათ ცხოვრობდნენ და არა ცალ-ცალკეო...

— მართალია,—სთქვა სოკრატმა.—მაგრამ რა სჯობია—მშვიდობიანად ცხოვრება თუ მტრულად?

— ჩასაკვირველია, მშვიდობიანათ,—უპასუხა ყველამ.

— აი თქვენც ასე ფუქრობთ და ღმერთმაც ასე გვიბრძანა, მაგრამ რომ ასე არ არის ჩვენში, რისგან არის ეს?

ყველანი გაჩუმდნენ, არ იცოდნენ, რა ეოქვათ. სოკრატმა განაგრძო:

— მე თითონაც არ ვიცი, მაგრამ ვეცადოთ, აგები ერთად რასმე გავხდეთ... მითხარით: რა უფრო სარფაა კაცისათვის—მონა ან მუშა, თუ ამხანაგი და მეგობარი?

— რა თქმა უნდა ამხანაგი და მეგობარი სჯობია, —უპასუხეს ერთხმად.

— მონა და მუშა ფიქრობენ საკუთარ სარგებლობაზე, ამხანაგი და მეგობარი კი ისევე ზრუნავენ შენთვის, როგორც თავის თავისთვის,—სთქვა ერთმა.

— მონა და მუშა რჩებიან შენთან სანამ ფული გაქვს, მაგრამ რა წამ აც შეგატყობენ, რომ ფული აღარა გაქვს რომ მათ აძლიო, მაშინვე თავს გაგანებებენ და იმასთან წავლენ, ვინც მათ ფულს მისცემს, —სთქვა მეორემ.

— ამხანაგი და მეგობარი კი იმით არის ძვირფასი, რომ ესენი არც გაჰირვებაში დაგანებებენ თავს, უკანასკნელს გაგიყოფენ,—სთქვა მესამემ.

— კარგ ამხანაგთან თითონაც კარგი გახდები, —სთქვა მეოთხემ.

— აი ყველანი თანახმა ხართ, —უთხრა სოკრატმა, —რომ იმხანაგი და მეგობარი უფრო ძვირფასია, ვიდ-

რე მონა თუ მუშა და, მაშასადამე, ყველაზე წინ იჩას  
უნდა ვცდილობდეთ, რომ ამხანაგი და მეგობარი ბევრი  
გყვანდეს, რომ ყველა ძმად და მეგობრად გვყვანდეს...

#### 9. უფრო რა უნდა იცოდეს ყოველმა კაცზა?

ერთხელ სოკრატი დაბრუნდა შინ და ნახა, რომ  
ხალხს თავი მოუყრია და ელიან სალაპარაკოდ. სოკრა-  
ტი დაჯდა მათ შორის. განვიდა ოთხი კაცი და მი-  
მართა სოკრატს: „გვითხარ, სოკრატ, რა ვასწავლოთ  
ჩვენს შვილებს, წამოვვეზარდნენ და გვინდა, რომ კა-  
ცები გამოვიდნენ. გვითხარ, რა და როგორ ვასწავ-  
ლოთ?“.

— მაინც რა გინდათ ასწავლოთ თქვენს შვილებს,  
ჰკითხა სოკრატმა.

— მე ვფიქრობ მივაბარო ის მჭერელს, რომ მჭედ-  
ლობა ისწავლოს,—უპასუხა ერთმა.

— მე კიდევ მინდა, რომ ჩემმა შვილმა ქვის მთლე-  
ლობა ისწავლოს, აი შენც ეგ ხელობა იცი,—უპასუხა  
მეორებ. **X**

— ჩემს სიცოცხლეში სულ მიწას ჩავცერი-  
გარ—ვხნავ, ვბარამ, ვთოხნი, ვთესავ და მენატრება,  
რომ ჩემი შვილიც ამ ხელობას დაადგეს,—უთხრა მე-  
სამემ.

— ჩემი შვილი კი სულ წიგნისკენ იწევს, მკურ-  
ნალობა მინდა შევისწავლოვო,—უთხრა მეოთხემ.

— ყველა ეგ კარგი,—სთქვა სოკრატმა,—ყოვე-  
ლი კაცი უნდა მუშაობდეს და რამე საქმეს აკეთებდეს,  
სხვების სასარგებლოდ, მაგრამ მარტო წეს არ კმარა.  
როცა დაგვჭირდება სახლის ან საყდრის აშენება, ჩვენ  
კალატოზთან და დურგალთან მივდივართ; წალებისა და  
ჩუსტებისათვის—ხარაზთან და სხვა; მაგრამ იმისათვის  
ვიღას მივმართოთ, რომ ქმარი თანხმობით და სიყვა-  
რულით სცხოვრობდეს ავ ცოლთან, შვილი ძუნწ მაშა-  
სთან, ძმა ბუზლუნა და მუდამ ჯავრიან ძმასთან, შეზო-  
ბელი ბოროტ და მოურიგებელ ბეზობელთან, მასპინ-

ძელი ამპარტავან სტუმართან, ერთი სიტყვით, რომ  
კაცი სხვა კაცთან ცხოვრობდეს კარგად... რომელ  
ხელოსანს მივმართოთ ამ შემთხვევაში?

— ეს საქმე ყოველ კარგ კაცს უნდა ესმოდესო,  
— სთქვა ერთმა.

— მაშ, გამოდის სოკრატ, რომ გარდა თავისი ხე-  
ლობისა, ყოველმა კაცმა ისიც უნდა იცოდეს, თუ რო-  
გორ უნდა იცხოვროს სხვებთან, სხვა ადამიანებთან,—  
სთქვა მეორემ.

— მართალია,— სთქვა სოკრატმა.

— მაგას კაცი კერ ისწავლის, როგორც სხვა რო-  
მელიმე ხელობას,— სთქვა ერთმა.

— საკვირველია,— სთქვა სოკრატმა: — რაც ყვე-  
ლაზედ უფრო სჯობია, იმის შესწავლა არ შეიძლე-  
ბაო? მითხარით ერთი: რა გრჩევნია: იამოვნებით  
ცხოვრება ცოლთან, თუ კარგი წალები?

— თუნდა შთელს სიცოცხლეს ვივლით ფეხ-შიშვე-  
ლა, ოღონდ ცოლთან ვცხოვრობდეთ თანხმობით და  
სიყვარულით,— სთქვეს ერთხმად.

— ან, რა სჯობია, ჩხუბით და დავი-დარიაბით მა-  
მასთან ცხოვრება, თუ ძვირფასი ტანისამოსი,— ჰკითხა  
კვლავ სოკრატმა.

— რა თქმა უნდა, რომ მამასთან უჩხუბრით ცხო-  
ვრება სჯობია,— სთქვეს ყველამ.

— ან, რა უფრო სჯობია, ციებ-ცხელება თუ ყვე-  
ლას უყვარდეთ,— ჰკითხა სოკრატმა.

— რა თქმა უნდა, სჯობია, რომ ყველას ვუყარდეთ.

— აი გამოდის, რომ იმის ცოდნა, თუ როგორ  
უნდა ვცხოვრობდეთ სხვებთან, ძვირფასი ყოფილა  
სხვა ყველა ცოდნაზედ და საქმეზედ; ამიტომ ეცადეთ,  
რომ თქვენცა და თქვენმა შვილებმაც ყველაზე მე-  
ტად უფრო ეს ხელოვნება შეისწავლოთ?..

ივ. როსტომაშვილი.

